



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო  
G E O R G I A  
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:ლ65.6521315001

თარიღი:11/11/2021

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი**

**სხდომის ოქმი N 18**

**ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 10.11.2021 წ.**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი:** - ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, ტარიელ ბარამიძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

**სხდომას საპატიო მიწეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** კობა ძაგნიძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

## **მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

### **დღის წესრიგი**

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.“  
მომხს.გიორგი ივანიაძე
  - 2.„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;  
მომხს. ივანე მამფორია
  - 3.„ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის #27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.  
მომხს. მამუკა ნამიჭეიშვილი
- 4 . სხვადასხვა

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - არცერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ძირითადი ცვლილებები არის შემდეგი:

1. შეიცვალა საკრებულოს წევრების რაოდენობა და ნაცვლად 35-ისა არის 30. აქედან 10 მაჟორიტარი დეპუტატი და 20 პროპორციული წესით გასული დეპუტატი.

2. დადგენილებას დაემატა პეტიციის ელექტრონულად წარდგენის მუხლი.

3. ტერმინოლოგიურად „თვითმმართველი ერთეული“ შეიცვალა „მუნიციპალიტეტით“.

4. მე-5 მუხლში შევიდა ცვლილება, „საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად“.

5. დაემატა საკრებულოს სხდომების დისტანციურად ჩატარების უფლება.

6. შეიცვალა ერთი კომისიის დასახელება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისია“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

დადგენილება N19

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მირანდა ბელთაძემ (ივანე მამფორიას საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა საკუთარი შემოსავლების ზრდამ რომელიც მიიმართება საახალწლო განათების შესაძენად.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 15746,5 ათასი ლარით, გადასახდელები 17013,2 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის რედაქციით:

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის

2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

დადგენილება N20

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის #27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შუამთის და მუქედის მოსახლეობის მოთხოვნით შევიდა შემდეგი ცვლილებები პროექტებში: კერძოდ, შუამთაში სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა რაც პროექტით იყო გათვალისწინებული შეიცვალა და მოხდება მასალების შეძენა: 1. სკვერის რებილიტაცია, 2. გარე განათების მოწყობა, 3. ტუალეტის წყლით მომარაგება. ასევე მდინარე ყუმურის კალაპოტში არსებული ბეტონის დამბის დაშლითვის თანხა მიემართება საწრეტი არხის რეაბილიტაციისათვის საძოვრის შესასვლელიდან სამხრეთის მიმართულებით. ასევე მუქედში სკვერის კეთილმოწყობა შეიცვალა და შეძენილი იქნება მასალები ამ სკვერის კეთილმოწყობისთვის.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის #27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

განკარგულება Nგ-65.65213141

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

